საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კახაძე ივანე რაჟდენის ძე

კახაძე ივანე რაჟდენის ძე [24. XII. 1904 (6. I. 1905), სოფ. დიდი ჯიხაიში, ახლანდ. სამტრედიის მუნიციპალიტეტი, – 17. V. 1955, თბილისი], გეოლოგი. საქართვ. მეცნ. აკად. წ.-კორ. (1950), გეოლ.-მინერალოგიურ მეცნ. დოქტორი (1946), პროფესორი (1947). დაამთავრა ამიერკავკ. სამთო-მეტალ. ინ-ტი (1930). ეწეოდა პედ. მოღვაწეობას თსუ-სა და სპი-ში. კ-ის შრომები შეეხება კავკასიის მეზო-კაინოზოური ნალექების სტრატიგრაფიისა და ტექტონიკის საკითხებს. მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქართვ. და ჩრდ. კავკ. სასარგებლო წიაღისეულის (ქვანახშირი, ბარიტი, პოლიმეტალები, სამშენებლო ქვები და სხვ.) საბადოების გეოლ. აგებულების შესწავლის საქმეში. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

თხზ.: საქართველოს შუა იურულის ფაუნა, «გეოლოგიური ინ-ტის შრომები. გეოლ. სერია», 1942, ტ. 1 (6)3; შენიშვნები კვაისის რაიონის ტექტონიკის შესახებ, «საქართვ. მეცნ. აკადემიის მოამბე», 1951, ტ. 12, № 2; Грузия в юрское время, «გეოლოგიური ინ-ტის შრომები. გეოლ. სერია», 1947, ტ. 3 (8).

ლიტ.: ივანე კახაძე. ბიობიბლიოგრაფია, შემდგ. გ. მგელაძე-ბორჯაძე, რედ. ნ. გურგენიძე, თბ., 1997.

ვ. ზესაშვილი